



სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის

სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის

### დებულება

განხილულია ფაკულტეტის საბჭოზე 05.04.2011, ოქმი 5

დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე 16.05.2011, ოქმი № 6

ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოზე 29.11.2017, ოქმი №3

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე 15.12.2017, ოქმი № 21

სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლისა და 28-ე მუხლის დ ქვეპუნქტის საფუძველზე ამტკიცებს სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის შემდეგ დებულებას:

### თავი I: ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს დებულება ადგენს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში: უნივერსიტეტი) სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (შემდეგში: ფაკულტეტი) საქმიანობის წესს და განსაზღვრავს ფაკულტეტის სტრუქტურას.
2. დებულების მოქმედება ვრცელდება ფაკულტეტის მართვის ორგანოებზე, აკადემიური პერსონალსა და პედაგოგებზე.

#### მუხლი 2. ფაკულტეტი სტატუსი

1. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეული.
2. ფაკულტეტს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და პირების წინაშე წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.
3. ფაკულტეტი იქმნება უნივერსიტეტის წესდებით.

#### მუხლი 3. ფაკულტეტის ფუნქციები

ფაკულტეტი იზიარებს უნივერსიტეტის საერთო პასუხისმგებლობას თავის სფეროში, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი განათლების კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით გაცხადებული მიზნების შესრულებასთან.

ფაკულტეტის უმთავრესი მიზანია ხელოვნების დარგებისა (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ქორეოლოგია) და მედიახელოვნების კვლევა. აგრეთვე, ხელოვნების მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის სპეციალობების განვითარება. ამ დარგებში აკადემიური უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა.

## **თავი II: ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები**

### **მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები**

1. ფაკულტეტს მართავს ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტის სტრუქტურა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით. მის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანის მოადგილე), ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებები.
3. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა სტრუქტურული ერთეული.
4. ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას სადისერტაციო საბჭო.

### **მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო**

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.
2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წევრები.
3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტების რაოდენობა არ უნდა იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.
4. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით.
5. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში.

### **მუხლი 6. დეკანატი**

1. დეკანატი ხელმძღვანელობს ფაკულტეტს.
2. დეკანატი შედგება: დეკანის, დეკანის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სამდივნოსაგან (მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი).
3. დეკანის თანამდებობა არჩევითია. დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.
4. დეკანის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს. ერთი პიროვნება ამ თანამდებობაზე შესაძლებელია აირჩეს ზედიზედ არაუმეტეს 2 ვადისა.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ ხმათა უმრავლესობით. სამსახურის არჩეულ ხელმძღვანელთან შრომის ხელშეკრულებას აფორმებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
6. დეკანის მოადგილე და სამდივნოს თანამშრომლები ინიშნებიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ. სამდივნოს თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით.

## **მუხლი 8. დეკანის ფუნქციები**

1. დეკანი არის ფაკულტეტის ხელმძღვანელი და წარმოადგენს ფაკულტეტს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების წინაშე.
2. დეკანის ძირითადი უფლებამოსილება განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით.
3. დეკანის ფუნქციებში შედის:
4. ფაკულტეტის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა;
5. დეკანატის თავმჯდომარეობა, ფუნქციების გადანაწილება სამდივნოს თანამშრომლებს შორის;
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის შემუშავება, ფაკულტეტის საბჭოზე განხილვა და აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა;
7. ფაკულტეტის სასწავლო და კვლევის პროცესის ორგანიზება;
8. ფაკულტეტის საბჭოს სხდომების დანიშვნა და თავმჯდომარეობა;
6. ფაკულტეტის სახელით სამართლებრივი აქტის/ბრძანების გამოცემა;
7. სასწავლო წლის დაწყებამდე ფაკულტეტის ბიუჯეტის წარმოდგენა;
8. სასწავლო წლის დასრულებისას ფინანსური მოხსენების გაკეთება;
9. დეკანი პასუხიმგებელია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, რაც გულისხმობს სემესტრის დაწყებამდე სასწავლო დისციპლინებისა და სასწავლო განრიგის შედგენას, პედაგოგებით უზრუნველყოფასა და ფინანსური ხარჯების გათვლას.

## **მუხლი 9. დეკანის მოადგილის ფუნქციები**

1. დეკანის მოადგილე ხელმძღვანელობს დეკანატში განსაზღვრულ მიმართულებას.
2. დეკანის მოადგილის უფლებამოსილებაში შედის:
  - ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და სხვა სახის საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა.
  - ბ) დეკანის ავადმყოფობის, მივლინებაში ან შვებულებაში ყოფნის დროს ცვლის მას.

## **მუხლი 10. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს დეკანატში განსაზღვრულ მიმართულებას.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილებაში შედის:
  - ა) სასწავლო პროგრამების შემუშავების ორგანიზება;
  - ბ) სასწავლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
  - გ) სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლი;
  - დ) ფაკულტეტზე სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ხარისხის შეფასება;
  - ე) აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების პროფესიული მომზადების შეფასება;
  - ვ) ხელმძღვანელობს და განახორციელებს აკადემიურ სფეროში ფაკულტეტის საქმიანობის თვითშეფასების პროცესს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებისათვის თვითშეფასების მომზადებას.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდების, ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

### **მუხლი 11. დეკანატის სამდივნო**

დეკანატის სამდივნო:

1. ორგანიზებას უწევს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
2. აღრიცხავს სტუდენტთა მონაცემებს, აწარმოებს მათ პირად საქმეებს, ასახავს პერსონალურ ბარათზე აკადემიურ შეფასებებს;
3. ადგენს სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, უზრუნველყოფს მათზე კონტროლს;
4. ამზადებს დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისთვის დოკუმენტაციას (დიპლომის დანართს);
5. ასრულებს ფაკულტეტის მმართველი სუბიექტების – დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, დეკანის მოადგილის დავალებებს და ეწევა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას;
6. ამზადებს სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის საჭირო ცნობებს, რეკომენდაციებს და სხვა დოკუმენტებს;
7. პასუხისმგებელია პირადი საქმეებისა და ფაკულტეტის სხვა დოკუმენტაციის შენახვაზე;
8. ინფორმაციას აწვდის ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ელ–ფოსტით ან სხვა საშუალებით უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ახალი წესების, რეგულაციების, ინსტრუქციების მიღების ან მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
9. კოორდინირებას უწევს აკადემიური პერსონალის სემესტრულ სააუდიტორიო დატვირთვებს;
10. სისტემატურად აწარმოებს სტატისტიკურ მონაცემებს;
11. განიხილავს და ამზადებს პასუხს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ფაკულტეტზე შემოსულ კორესპონდენციაზე;
12. ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, განათავსებს შესაბამის ინფორმაციას ვებ-გვერდზე;
13. ორგანიზებას უწევს სტუდენტებთან და პროფესორებთან საინფორმაციო შეხვედრებს;
14. მონაწილეობს სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზებაში, კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიაში მონაწილეობა.

### **თავი III: ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებები**

#### **მუხლი 12. ფაკულტეტის პროგრამები და სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებები**

##### **1. საგანმანათლებლო პროგრამა**

ა) საგანმანათლებლო პროგრამა არის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, დარგობრივი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების შექმნაზე დაფუძნებული, სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი სტრუქტურის მქონე კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტთა მომზადებას სწავლების ცალკეული

საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პროფესიული განათლება) მიხედვით.

ბ) საბაკალავრო პროგრამა შეიძლება შედგებოდეს **კონცენტრაციებისგან**. მისი აუცილებელი ნაწილია სასწავლო კურსები და/ან მოდულები.

გ) სამაგისტრო პროგრამა შეიძლება შედგებოდეს **კონცენტრაციებისგან**. მისი აუცილებელი ნაწილია სასწავლო კურსები და/ან მოდულები, სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად განკუთვნილი კომპონენტისაგან და სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით.

დ) სადოქტორო პროგრამა შეიძლება შედგებოდეს **კონცენტრაციებისგან** და მოდულებისგან. პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.

2. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

3. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან: საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.

4. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირებას ახდენს დოქტორანტურისა და მაგისტრატურის დეპარტამენტი.

5. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და მოდულის ხელმძღვანელი.

**6. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და შემუშავება-დამტკიცება**

ა) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის შემადგენელი მოდულის ხელმძღვანელი (შემდგომ მოდულის ხელმძღვანელი) შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

ბ) პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

გ) პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო და სააკრედიტაციო მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაზე. საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე, ხოლო სადოქტორო პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ხარისხზე.

დ) პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის კურიკულუმის თაობაზე სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის

მიწოდებაზე, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების თაობაზე დეკანისათვის გონივრულ ვადაში წინადადებების წარდგენაზე.  
ე) პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

ვ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამას, პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინაციით, შეიმუშავებენ ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორები.

ზ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი სასწავლო პროგრამებს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. საგანმანათლებლო პროგრამებს, ფაკულტეტის საბჭოს და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

თ) დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

## **7. სასწავლო-სამეცნიერო დარგები და მიმართულებები**

1. ფაკულტეტზე არსებობს შემდეგი **სასწავლო-სამეცნიერო დარგები და მიმართულებები:**

ა) თეატრმცოდნეობა (თეატრის ისტორიის მიმართულება და სათეატრო კრიტიკისა და თეორიის მიმართულება);

ბ) კინომცოდნეობა (კინოს ისტორიის მიმართულება და კინოკრიტიკისა და თეორიის მიმართულება);

გ) ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულება (ძველი ხელოვნების ისტორიის მიმართულება და თანამედროვე ხელოვნების მიმართულება);

დ) ქორეოლოგია;

ე) სოციალურ მეცნიერებების (მასკომუნიკაციის და მედიის) მიმართულება;

ვ) ხელოვნების მენეჯმენტი;

ზ) კულტურული ტურიზმი.

2. მიმართულების ხელმძღვანელი არის შესაბამისი დარგის პროფესორი (პროფესორის აკადემიური თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მიმართულების ასოცირებული პროფესორი).

3. სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელობა არაანაზღაურებადი საქმიანობაა.

## **თავი IV: ფაკულტეტის პერსონალი**

### **მუხლი 13. ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი**

1. აკადემიურ თანამდებობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.

2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. ასისტენტი ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას ადგენს აკადემიური საბჭო.
5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით.
6. აკადემიური პროგრამების განხორციელებისთვის ფაკულტეტი უფლებამოსილია დაასაქმოს მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი.
7. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების საფუძველია: უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული და ფაკულტეტის პრიორიტეტული დარგების - სახელოვნებო მეცნიერებების (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ქორეოლოგია), მასკომუნიკაციისა და მედიის, მენეჯმენტისა და ტურიზმის სასწავლო-სამეცნიერო მოთხოვნები, პროგრამებით განსაზღვრული სასწავლო საათების არსებობა შესაბამისი აკადემიური პერსონალისთვის, პრიორიტეტული მიმართულების/დარგის განვითარების აუცილებლობა.

## **თავი V ფაკულტეტის სტუდენტი**

### **მუხლი 14. ფაკულტეტის სტუდენტები და სტუდენტური თვითმმართველობა**

1. ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის პროგრამის გასაველელად.
2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.
4. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შედგება ფაკულტეტზე ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეული სტუდენტებისაგან.
5. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

## **თავი VI: საჯაროობა და მატერიალური რესურსები**

### **მუხლი 15. საჯაროობა**

დეკანატში დაცული ინფორმაცია არსებული კანონმდებლობის ფარგლებში საჯაროა, სტუდენტის პერსონალურ ბარათში შეტანილი პირადი ინფორმაციის გარდა. რაც

შეეხება სილაბუსსა და პროგრამას, მისი საჯაროობა განისაზღვრება ავტორის გადაწყვეტილების მიხედვით.

**მუხლი 16. მატერიალური რესურსები**

1. ფაკულტეტის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის მიერ.
2. ფაკულტეტის ბიუჯეტი არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი.

**მუხლი 17. დებულების ამოქმედება**

დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.